3.8.5. ადგილობრივი თვითმმართველობისადმი მოქალაქეთა დამოკიდებულების ზოგადი შეფასება

კვლევის შედეგების თანახმად, წინა რაუნდებთან შედარებით, გაზრდილია ადგილობრივი თვითმმართველობების (მერია/საკრებულო) მიმართ როგორც კმაყოფილება, ისე ნდობა (ორივე შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 80%-ს შეადგენს). თუ გავითვალისწინებთ, რომ 2013-2021 წლებში აღნიშნული მაჩვენებლები 61-71% ფარგლებში მერყეობდა, გაუმჯობესების ტენდენცია აშკარად სახეზეა.

გარდა ამისა, შემცირებულია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებსაც უჭირთ კმაყოფილების (2021 წელი - 18%, 2023 წელი - 14%) და ნდობის (2021 წელი - 18%, 2023 წელი - 11%) შეფასება.

ისევე როგორც წინა რაუნდების კვლევებში, 2023 წელსაც შეინიშნება განსხვავება სხვადასხვა ტერიტორიული თუ საზოგადოებრივი ჯგუფების მონაცემების მიხედვით.

- მაღალმთიან დასახლებებში ადგილობრივი თვითმმართველობებით კმაყოფილება და ნდობა (შესაბამისად - 90% და 91%) უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ტიპის დასახლებებში (შესაბამისად - 79% და 79%);
- სოფლის ტიპის დასახლებებში ეს მაჩვენებლები ასევე უფრო მაღალია (შესაბამისად - 83% და 84%) უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქებში (შესაბამისად - 77% და 77%). დედაქალაქში - თბილისში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია (შესაბამისად - 71% და 70%).

ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის განსხვავება არ გამოვლენილა, თუმცა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის მაჩვენებელი, წინა რაუნდებთან შედარებით გაზრდილია: კმაყოფილების მაჩვენებელი 2013-2021 წლებში 56%-70% შორის მერყეობდა, 2023 წელს კი 87% შეადგინა; ნდობის მაჩვენებელი, შესაბამისად 57%-76%-დან 2023 წლისათვის 86%-მდე გაიზარდა.

კვლევის ყველა რაუნდის მონაცემებში ვლინდება ურთიერთსაპირისპირო კორელაცია საზოგადოებრივი სერვისების მიწოდების ხარისხსა და მოსახლეობის კმაყოფილებას შორის: ქალაქებში (განსაკუთრებით თბილისში), სადაც საზოგადოებრივი სერვისების მიწოდების ხარისხი უფრო მაღალია, საზოგადოება უფრო მაღალ სტანდარტებს უწესებს ხელისუფლებას. მაღალმთიან და სასოფლო ტიპის დასახლებებში კი არა მხოლოდ სერვისის გაუმჯობესება, არამედ თავად საკითხის გადაწყვეტის მცდელობაც ზრდის მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხს. ცალკეული მომსახურებების ჩანასახოვანი არარსებობის შემთხვევაშიც კი რესპონდენტები სიტუაციის მცირე გაუმჯობესებასაც პოზიტიურად აფასებენ.

შემდეგი მიგნება, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს, არის გარკვეული ურთიერთშეუსაბამობა სხვადასხვა კითხვებთან დაკავშირებულ პასუხებს შორის.

კითხვაზე "რამდენად პასუხობს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოქალაქეთა მოთხოვნებს" გამოკითხულთა 23% მიიჩნევს, რომ სრულად პასუხობს

(შედარებისათვის, 2021 წელს ეს მაჩვენებელი 11%-ს შეადგენდა), 50% - მეტ-ნაკლებად პასუხობს, 13% - საერთოდ არ პასუხობს.

ამავე დროს რესპონდენტთა 62% მიიჩნევს, რომ საჭიროა გადაწყვეტილებების მიღებისას სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მეტად გათვალისწინების გაუმჯობესება. პრიორიტეტულად მოქალაქეები ასახელებენ მოსახლეობასთან უფრო ხშირი შეხვედრების ორგანიზებას (53%) და მუნიციპალური ბიუჯეტის ზრდას (52%). სხვადასხვა ჭრილის მიხედვით აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებითი განსხვავებები არ ვლინდება.

სხვადასხვა კითხვებზე პასუხების ურთიერთშეუსაბამობის მაგალითია მოსახლეობის კმაყოფილება და ნდობა მერის წარმომადგენლის მიმართ. სოფლის ტიპის დასახლებების მცხოვრებთა 80% კმაყოფილია წარმომადგენლის მუშაობით, 81% კი ენდობა მას. ქალაქებში ეს მაჩვენებელი, ორივე შემთხვევაში 77% შეადგენს.

ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ გამოთქმული მაღალი შეფასება საკმაოდ უცნაურად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მერის წარმომადგენლის ინსტიტუტი ძირითადად სოფლის ტიპის დასახლებებში მუშაობს და რამდენიმე (არა უმრავლეს) ქალაქში, და ისიც ერთეულ შემთხვევაში, არსებობს ასეთი თანამდებობა. ჩნდება კითხვა, როგორ აფასებს დადებითად ქალაქის მცხოვრებთა 77% ინსტიტუციას, რომელიც მათთან არ არსებობს.

ამავე დროს ბუნებრივია, რომ მერის წარმომადგენლისადმი როგორც კმაყოფილების, ისე ნდობის მაჩვენებელი მაღალია მაღალმთიან დასახლებებში (შესაბამისად, 90% და 92%) და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფში (შესაბამისად, 90% და 86%), ვიდრე ეთნიკური ქართველების ჯგუფში (80%-80%). რიგი სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებთ (აღნიშნული ჯგუფების შედარებითი იზოლაცია სხვა ჯგუფებისაგან), ადგილზე ხელისუფლების წარმომადგენლის რეალური არსებობა რესპონდენტებში პოზიტიურ მოვლენად აღიქმება.

რაოდენობრივ კვლევაში დაფიქსირებული, პოზიტიური ან/და ნეგატიური შეფასების მოტივაცია შესაძლოა აიხსნას თვისებრივი კვლევის პროცესში გამოვლენილი მიგნებების საფუძველზე.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ასახელებენ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არსებული გამოწვევების ისეთ მიზეზებს, როგორიცაა:

- ➔ ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება არა იმდენად საკუთარ ამომრჩეველზე, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებაზე და პარტიულ ვერტიკალზე;
- ➔ ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში დეცენტრალიზაციის განსახორციელებლად აუცილებელი პოლიტიკური ნების არარსებობა.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები დადებითად აფასებენ დეცენტრალიზაციის მიმართულებით საკანონმდებლო სფეროში გადადგმულ რიგ ნაბიჯებს (დარგობრივი კანონმდებლობა, საბიუჯეტო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები). ამავე დროს აღინიშნა,

რომ საჭიროა უფრო გაღრმავდეს მუშაობა დეცენტრალიზაციის ყველა მიმართულებით (მ.შ. ადგილებისათვის უფლებამოსილებების გადაცემა, ფისკალური და ქონებრივი დეცენტრალიზაცია და ა.შ.), ვინაიდან ცალკეულ სფეროებში განხორციელებული ნაწილობრივი, თუნდაც ძალზე კარგი ცვლილებები საბოლოო, წარმატებული შედეგის მისაღწევად არ არის საკმარისი.

შემდეგი საკითხია ადგილობრივი თვითმმართველობისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობა. წინა რაუნდების მონაცემებთან შედარებით, ამ მიმართულებით 2023 წლისათვის შესამჩნევი პროგრესი აღინიშნება:

- ➔ საკმაოდა მაღალია მოქალაქეთა გათვითცნობიერების დონე თვითმმართველობის უფლებამოსილებების ჩამონათვალთან დაკავშირებით. რესპონდენტთა მხოლოდ 9%-ს უჭირს საკითხების ჩამოთვლა. გაზრდილია კონკრეტულ სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებით ინფორმირების დონე: ბიზნესის/მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროექტების შესახებ 2023 წელს ინფორმირებულია რესპონდენტთა 37%, როცა 2019 წელს ეს მაჩვენებელი 30%-ს, ხოლო 2021 წელს - 25%-ს შეადგენდა;

[შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ როცა სახელმწიფოს მიერ წარმართულ ზოგად პოლიტიკაზეა საუბარი, წინა რაუნდებთან შედარებით, მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მაგალითად დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმაცია რესპონდენტთა მცირე ნაწილს აქვს (2019 წელი – 13%, 2021 წელი – 14%, 2023 წელი - 16%).]

- ➔ გაზრდილია ადგილობრივი თვითმმართველობის მოსახლეობასთან კომუნიკაციას მაჩვენებელი (64%), როცა წინა რაუნდებში იგი 52%-58% ფარგლებში მერყეობდა;
- ➔ იზრდება იმ მოქალაქეთა ოდენობა, რომლებიც მიმართვის პროცედურებს მარტივად და ადვილად აღსაქმელად მიიჩნევს (2023 წელი - 83%), შედარებისათვის (2013 წელი – 20%, 2015 წელი – 18%, 2017 წელი – 16%, 2019 წელი – 22%, 2021 წელი – 16%);
- ➔ წინა რაუნდების მონაცემებთან შედარებით ასევე გაიზარდა თვითმმართველობისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობის მჩვენებელი (2023 წელი - 23%), შედარებისათვის (2013 წელი – 71%, 2015 წელი – 77%, 2017 წელი – 77%, 2019 წელი – 79%, 2021 წელი – 73%).

ამავე დროს ზოგადად შემცირებულია მოქალაქეთა ოდენობა, რომელიც მიიჩნევს, რომ მიმართვის შედეგად თვითმმართველობამ აღნიშნული პრობლემა მოაგვარა (2023 წელი - 36%), შედარებისათვის (2013 წელი – 55%, 2015 წელი – 53%, 2017 წელი – 57%, 2019 წელი – 48%, 2021 წელი – 32%).

და ბოლოს, კვლევის შედეგები აჩვენებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დონის ზრდას:

- ➔ გაზრდილია მოქალაქეთა წილი, ვინც ინფორმირებულია მონაწილეობის არსებული მექანიზმების შესახებ (2023 წელი - 38%). შედარებისათვის: 2017 წელი – 23%, 2019 წელი – 25%, 2021 წელი – 25%;
- ➔ გაზრდილია მოქალაქეთა რაოდენობა, ვისაც არსებული ინსტრუმენტებიდან რომელიმე

გამოუყენებია (2023 წელი - 22%). შედარებისათვის 2017 წელი – 10%, 2019 წელი – 20%, 2021 წელი – 14%;

- ➔ შემცირებულია იმ მოქალაქეთა ხვედრითი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ მონაწილეობას არ აქვს აზრი, რადგან მათი აქტიურობა არაფერს შეცვლის (2017 წელი – 25%, 2019 წელი – 20%, 2021 წელი – 25%, 2023 წელი - 16%).

მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებლის ზრდა რიგი, კონკრეტული პროგრამების დაწყებას ან გაძლიერებას უნდა მიეწეროს (მაგალითად, სამოქალაქო ბიუჯეტირება, სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამა). მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი იზრდება იმ შემთხვევაში, როცა ისინი ხედავენ თავიანთი აქტივობის კონკრეტულ, ხელშესახებ შედეგს.

აღნიშნულს ადასტურებს თვისებრივი კვლევის მონაცემები. რესპონდენტების კრიტიკულად აფასებენ არსებულ რეალობას სერიოზულ გამოწვევად მიიჩნევენ არსებული პრაქტიკების "ფორმალური ხასიათს" და მოქალაქეთა მნიშვნელოვან ნაწილში გაბატონებულ, წარსული ნეგატიური გამოცდილების შედეგად გაჩენილ, ნიჰილიზმს.